

ბუდაპეშტ-ვენის დეკლარაცია უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცის შესახებ

2010 წლის 12 მარტი

1. ჩვენ ბოლონიის პროცესში მონაწილე ქვეყნების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრები შევიკრიბეთ ბუდაპეშტსა და ვენაში 2010 წლის 11 და 12 მარტს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (EHEA) გასახსნელად, როგორც ეს იყო გათვალისწინებული 1999 წლის ბოლონიის დეკლარაციაში.

2. მიღებული კრიტერიუმების საფუძველზე მივესალმებით ყაზახეთს, როგორც უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ახალ წევრს.

3. 1999 წლის დეკლარაციაში მოცემულია 2010 წლის საერთაშორისო კონკურენტუნარიანი და მიმზიდველი უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხედვა, სადაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აქტიურად ჩართული თანამშრომლების ხელშეწყობით დაასრულებენ ცოდნის ისეთი საზოგადოების შექმნის მრავალმხრივ მისიას, რომელშიც სტუდენტები მობილობისა და კვლითვით საქმიანობის სამართლიანი ცნობის წყალობით შეძლებენ განათლების მიღების საუკეთესო პირობების პოვნას.

4. 1999 წლიდან ევროპული კულტურული კონვენციის მონაწილე 47 ქვეყანამ მოაწერა ხელი ამ ხედვას და მიაღწია საყურადღებო პროგრესს მის განხორციელებაში. საზოგადოების პასუხისმგებელი პირების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სტუდენტებისა და თანამშრომლების უნიკალური პარტნიორობით, დამჭირავებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ევროპულ დაწესებულებებთან ერთად ჩვენ ჩავერთეთ რეფორმათა რიგში უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ასაგებად, რომელიც დაფუძნებულია სიმართლეზე, თანამშრომლობაზე და კულტურების, ენებისა და უმაღლესი განათლების სისტემების განსხვავებათა პატივისცემაზე.

5. ბოლონიის პროცესმა და მის შედეგად მიღებულმა უმაღლესი განათლების ევროპულმა სივრცემ, როგორც უმაღლესი განათლებაში რეგიონალური, საზღვარისგარეშე თანამშრომლობის უპრეცედენტო მაგალითმა, გამოიწვია მსოფლიოს სხვა ქვეყნების მნიშვნელოვანი ინტერესი და ევროპის უმაღლესი განათლება გახდა უფრო შესამჩნევი გლობალურ რუკაზე. ჩვენ მივესალმებით ამ ინტერესს და მომავალში უფრო ინტენსიურს გავხდით ჩვენს დიალოგსა და თანამშრომლობას მსოფლიოს გარე პარტნიორებთან.

6. ჩვენ გავითვალისწინეთ დამოუკიდებელი შეფასებები და დაინტერესებული პირების ანგარიშები. ჩვენ მივესალმებით მათ დასტურს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, მათი თანამშრომლები და სტუდენტები სულ უფრო აცნობიერებენ ბოლონიის პროცესის მიზნებს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს მივაღწიეთ ბოლონიის პროცესის მიზნების განხორციელებაში, ანგარიშები მაინც გვიჩვენებენ, რომ EHEA-ს საქმიანობა ხარისხებისა და კურიკულუმების რეფორმის, ხარისხის უზრუნველყოფის, ცნობის, მობილობისა და სოციალური განზომილების კუთხით ერთგვაროვნად არ არის განხორციელებული. შენიშვნები, რომლებსაც გამოთქვამს ამჟამად ზოგიერთი ქვეყანა,

ნაწილობრივ მიმართული იმ ღონისძიებების წინააღმდეგ, რომელიც არ არის დაკავშირებული ბოლონიის პროცესთან, გვახსენებს ჩვენ, რომ ბოლონიის ზოგიერთი მიზანი და რეფორმა არ იყო სწორად გამოყენებული და ახსნილი. ჩვენ ვაცნობიერებთ და გავითვალისწინებთ უნივერსიტეტების თანამშრომელთა და სტუდენტთა კრიტიკულ შენიშვნებს. ჩვენ შევნიშნავთ, რომ მოწესრიგება და შემდგომი მუშაობა თანამშრომელთა და სტუდენტების მონაწილეობით აუცილებელია ევროპულ, ეროვნულ და ინსტიტუციურ დონეზე იმისთვის, რომ მივაღწიოთ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მიზნებს იმ სახით, როგორც ეს ჩვენ წარმოგვიდგენია.

7. ჩვენ, მინისტრები ვალდებულებას ვიღებთ, სრულად და მართებულად დავნერგოთ ლეოვენის კომუნიკეში დასახული შეთანხმებული მიზნები და გეგმები მომავალი ათწლეულისათვის. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მათ თანამშრომლებთან, სტუდენტებთან და დაინტერესებულ პირებთან მჭიდრო თანამშრომლობით ჩვენ ვივლით იმ გზით, რომ დავასრულოთ დაწყებული რეფორმები იმისთვის, რომ მივცეთ სტუდენტებსა და თანამშრომლებს მობილობის, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლისა და სწავლების გაუმჯობესების საშუალება, გავაუმჯობესოთ კურსდამთავრებულთა დასაქმება და უზრუნველყოთ ხარისხიანი უმაღლესი განათლება ყველასათვის. ეროვნულ დონეზე ჩვენ აგრეთვე ვეცდებით გავაუმჯობესოთ თანამშრომლობა და ბოლონიის პროცესი გავაცნოთ ყველა დაინტერესებულ პირსა და მთლიანად საზოგადოებას.

8. ჩვენ, მინისტრები, ვანახლებთ ვალდებულებას აკადემიური თავისუფლების ისევე, როგორც ავტონომიისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ანგარიშვალდებულების დაცვის შესახებ, რაც წარმოადგენს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პრინციპს და ხაზს ვუსვამთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების როლს მშვიდობიანი დემოკრატიული საზოგადოების განვითარებასა და სოციალური ერთობის გაძლიერებაში.

9. ჩვენ ვაცნობიერებთ აკადემიური საზოგადოების - დაწესებულებების ხელმძღვანელების, მასწავლებლების, მკვლევარებისა და სტუდენტების - წამყვან როლს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ჩამოყალიბებაში, სტუდენტებისათვის მომავალი კარიერისთვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის გადაცემასა და მათი როგორც მომავალი დემოკრატი მოქალაქეებისა და პიროვნებების ჩამოყალიბებაში. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ საჭიროა დაწესებულებათა თანამშრომლებისათვის უფრო ხელისშემწყობი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მათი ამოცანების შესრულებას. ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ უფრო აქტიურად ჩავრთოთ თანამშრომლები და სტუდენტები EHEA-ს დანერგვასა და შემდგომ განვითარებაში. ჩვენ სრულად ვუჭერთ მხარს სტუდენტთა და თანამშრომელთა გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურების მუშაობაში მონაწილეობას ევროპულ, ეროვნულ და ინსტიტუციონალურ დონეზე.

10. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მონაწილეს მონაწილეობა მიიღოს სამუშაო და სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაში და მხარი დაუჭიროს სტუდენტზე მიმართულ სწავლებას როგორც საშუალებას, ხელი შეუწყოს ნებისმიერ ფორმის განათლების საფეხურზე მყოფ მოსწავლეს მიიღოს საუკეთესო გადაწყვეტილება სიცოცხლის სწავლების უნარიანი და

მოქნილი გზის მოძებნაში. ეს აგრეთვე მოითხოვს მასწავლებლებისა და მკვლევარების თანამშრომლობას საერთაშორისო ქსელებში.

11. ჩვენ, მინისტრები, კვლავ ვადასტურებთ, რომ უმაღლესი განათლება არის საზოგადოების პასუხისმგებლობის ობიექტი. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, მით უფრო ამ მძიმე ეკონომიკურ სიტუაციაში, დავარწმუნოთ საზოგადოება, რომ უმაღლეს განათლებას აქვს აუცილებელი რესურსი საზოგადოების ხელმძღვანელი პირების მიერ დადგენილ და განხილულ საზღვრებში. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ უმაღლესი განათლება არის სოციალური და ეკონომიური განვითარებისა და ინოვაციების ძირითადი მამოძრავებელი ძალა ცოდნაზე დაფუძნებულ განუწყვეტლივ განვითარებად მსოფლიოში. ამიტომ ჩვენ გავზრდით ძალისხმევას სოციალური განზომილების თვალსაზრისით იმისთვის, რომ უზრუნველყოთ ხარისხიანი განათლების მიღების ტოლი შესაძლებლობები განსაკუთრებული ყურდლების გათვალისწინებით სოციალურად დაუცველი ფენების მიმართ.

12. ჩვენ, უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეზე პასუხისმგებელი მინისტრები, ვთხოვთ ბოლონის სამუშაო ჯგუფს წარმოადგინოს ზომები ბოლონის შეთანხმებული პრინციპებისა და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სამოქმედო გეგმის შესაბამისი და სრული განხორციელების გამარტივებისათვის, განსაკუთრებით ეროვნულ და ინსტიტუციონალურ დონეზე, სხვა საშუალებებთან ერთად დამატებითი სამუშაო მეთოდების განვითარებით, როგორცაა პირდაპირი სწავლება, სასწავლო ვიზიტები და საინფორმაციო გაცვლის სხვა საშუალებებით. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მუდმივი განვითარებით, გაუმჯობესებითა და გაძლიერებით, სამეცნიერო-კვლევითი ევროპულ სივრცესთან ერთად შემდგომი ერთობლივი ძალისხმევით, ევროპა შეძლებს წარმატებით შეხვდეს მომავალი ათწლეულის გამოწვევებს.

13. შემდეგ მინისტრიალს მიღებული პროგრესისა და ლეოვენის გეგმების შესაჯამებლად მიიღებს რუმინეთი ბუქარესტში 2010 წლის 26-27 აპრილს.